

## WIZZ DISCOUNT CLUB-ის წესები და პირობები

### 1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგად პირობებში განსაზღვრულ ტერმინებსა და გამოთქმებს იგივე მნიშვნელობა აქვთ წინამდებარე წესებსა და პირობებში გამოყენებისას, თუ ქვემოთ არ არის მითითებული ან კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს.
- 1.2. განმარტებები

**ტრანსპორტირების ზოგადი პირობები** არის Wizz Air-ის ტრანსპორტირების ზოგადი პირობები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებგვერდზე და პერიოდულად რედაქტირდება Wizz Air-ის მიერ.

**წევრი ან თქვენ** არის პიროვნება, რომელიც დასახელებულია WIZZ Discount Club-ის წევრად კლუბის წევრობაზე განაცხადის გაკეთებისას.

**WIZZ Discount Club ან კლუბი** არის წინამდებარე წესებისა და პირობების საფუძველზე და მათ შესაბამისად უზრუნველყოფილი ჩვენი სპეციალური შეთავაზებების კომპილაცია, რომელიც წევრებს ანიჭებს კონკრეტულ შეღავათებს წინამდებარე დოკუმენტში მითითებულის შესაბამისად.

**WIZZ ანგარიშის ნომერი** არის 10-ციფრიანი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელიც იქმნება დაჯავშნის სისტემის მიერ, Wizz Air-ში რეგისტრაციის დასრულების შემდეგ.

**Wizz Air ან ჩვენ** არის Wizz Air-ის სუბიექტი (Wizz Air Hungary Ltd, Wizz Air UK Ltd ან Wizz Air-ის ნებისმიერი სხვა სუბიექტი), რომლის მიერაც სრულდება ის რეისი, რომელთან ერთადაც შეიძინეთ WIZZ Discount Club-ში წევრობა და რომელიც გასცემს ინვოისს WIZZ Discount Club-ში წევრობის შექმნისთვის.

### 2. დასაშვებობა და რეგისტრაცია

- 2.1. WIZZ Discount Club-ში გაწევრიანება შეგიძლიათ:
  - ონლაინ დაჯავშნისას, ავიაბილეთის დაჯავშნის დროს კლუბის წევრობის შექმნითა და წევრობის ყოველწლიური მოსაკრებლის გადახდით;
  - ჩვენი საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით, თუ დაჯავშნისას შეიძინეთ წევრობას საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით და გადაიხდით წევრობის ყოველწლიურ მოსაკრებელს.
- 2.2. წევრობის მოსაკრებლის ოდენობას შეიტყობთ შექმნისას.
- 2.3. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვუთხრათ წევრობაზე ნებისმიერ პირს, ხოლო წევრის მიერ წინამდებარე წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში — ნებისმიერ დროს შევუწყვიტოთ წევრობა.

### 3. საწევრო მოსაკრებლის გადახდა

- 3.1. კლუბში წევრობის შექმნისას უნდა გადაიხადოთ წევრობის ყოველწლიური მოსაკრებელი. ყოველწლიური მოსაკრებლის გადახდა ხორციელდება საბანკო ბარათით და/ან WIZZ კრედიტით.

### 4. წევრობის შეღავათები

- 4.1. WIZZ Discount Club-ის წევრობა საშუალებას აძლევს წევრებს, ისარგებლონ კლუბის სპეციალური ტარიფებით, რომლებიც მიუწვდომელია არა-წევრებისთვის, და სხვა შეღავათებით, რომელთა შესახებაც გეცნობათ წევრობის შექმნის მომენტში.
- 4.2. კლუბში წევრობა არ იძლევა გარანტიას, რომ კლუბის სპეციალური ტარიფები ხელმისაწვდომი იქნება ყველა მარშრუტზე და ყოველთვის (მაგ.: ქვეყნის შიდა მარშრუტებზე, რეისებზე სპეციალურ ღონისძიებაზე დასასწრებად და აშ.).
- 4.3. შეღავათები შეიძლება შეიცვალოს თქვენი წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.
- 4.4. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ნებისმიერ დროს შევცვალოთ, გავზარდოთ ან შევამციროთ შეღავათები. ჩვენ, ასევე, შეიძლება დავაწესოთ მოთხოვნები და შეზღუდვები შეღავათების გამოყენებაზე. შეღავათების შესახებ უახლესი ინფორმაცია ხელმისაწვდომია wizzair.com-ის „WIZZ სერვისების“ სექციაში. თუ რომელიმე ცვლილებას არ ეთანხმებით, წევრობის შეწყვეტა შეგიძლიათ ჩვენთვის მოწერით. ამ შემთხვევაში მოქმედებს წინამდებარე წესებისა და პირობების ქვეპუნქტი 6.5.
- 4.5. შეღავათები ვრცელდება WIZZ Discount Club-ის წევრსა და იმავე ჯავშანში მითითებულ სხვა მგზავრებზე, თუ ჯავშანში მითითებულ მგზავრთა სრული რაოდენობა არ აღემატება WIZZ Discount Club-ში წევრობის შექმნილი ტიპის მიხედვით განსაზღვრულ ბენეფიციართა რაოდენობას.
- 4.6. შეღავათები არ ეხება მგზავრ(ებ)ს, რომელთათვისაც თქვენ ცალკე ჯავშანი გააკეთეთ.
- 4.7. წევრებს არ აუნაზღაურდებათ შეღავათები იმ ჯავშნებისთვის, რომლებიც გაფორმდა წევრობის შექმნამდე.
- 4.8. კლუბის წევრობის სხვისთვის გადაცემა არ ხდება. თუ თქვენი წევრობის არასანქცირებულ გამოყენებას შეამჩნევთ, დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოთ ამის შესახებ.
- 4.9. WIZZ Discount Club-ში წევრობის გამყიდველი სუბიექტის მიუხედავად, წინამდებარე წესებისა და პირობები მიხედვით შეღავათები გეკუთვნით Wizz Air-ის ყველა სუბიექტის რეისებზე.
- 4.10. პრივილეგიები ვრცელდება კონკრეტული რეისის მხოლოდ ერთ ჯავშანზე, WIZZ Discount Club-ში წევრობის ტიპის შესაბამისად. კონკრეტული რეისზე შესაძლებელია მხოლოდ ერთი ჯავშნის გაფორმება WIZZ Discount Club-ში წევრობის მეშვეობით. წინამდებარე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში Wizz Air იტოვებს უფლებს, გააუქმოს ჯავშნები.

## 5. ზოგადი დებულებები

- 5.1. Wizz Air-ის მიერ უზრუნველყოფილ ყველა პრომო-აქციაზე, ტარიფზე და ნებისმიერ სხვა სპეციალურ შემოთავაზებაზე ვრცელდება ის წესები და პირობები, რომლებიც ეხება კონკრეტულად ამა თუ იმ შემოთავაზებას. თუ ჩენი მხრიდან არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, WIZZ Discount Club-ის შეღავათების კომბინირება სხვა შემოთავაზებებთან დაუშვებელია.
- 5.2. დაუშვებელია კლუბის წევრობის მეშვეობით შექმნილი ბილეთების ან/და სერვისების თქვენ ან მესამე მხარის მიერ კომერციული მიზნით შეთავაზება, მათ შორის (თუმცა ამით არ შემოიფარგლება), ინტერნეტ-აუქციონების ან ვებ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სხვა პლატფორმების მეშვეობით.
- 5.3. კლუბის ტარიფებით იმავე ჯავშანში მითითებულმა სხვა მგზავრებმაც რომ ისარგებლონ, ჯავშნის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა დარწმუნდეთ, რომ ჯავშანში ყოველთვის მითითებული დარჩეთ მგზავრად. ჯავშნიდან თქვენი ამოშლის შემთხვევაში ყველა დარჩენილ მგზავრზე გავრცელდება ჩვეულებრივი ტარიფი და გადასახდელი იქნება სხვაობა ტარიფებში (სხვაობას

ავიაბილეთის/ბარგის ჩვეულებრივ და WIZZ Discount Club-ით გათვალისწინებულ ფასებს შორის). წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ჯავშანი შეიძლება გაუქმდეს.

- 5.4. კლუბის წევრობის შეძენისას უნდა მიუთითოთ ზუსტი და უტყუარი პერსონალური მონაცემები, რომლებიც უნდა შეინარჩუნოთ კლუბის შეღავათებით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. თუ ზემოთ მითითებულ ვალდებულებას არ შეასრულებთ, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეწყვიტოთ თქვენი წევრობა.
- 5.5. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შევცვალოთ წინამდებარე წესები და პირობები, რის შემდეგაც გამოყენების შეცვლილი წესები და პირობები გამოქვეყნდება ვებგვერდზე.
- 5.6. თუ წინამდებარე დოკუმენტში სხვაგვარად არ არის მითითებული, კლუბში წევრობით სარგებლობისას მოქმედებს Wizz Air-ის იმ სუბიექტის ტრანსპორტირების ზოგადი პირობები, რომელიც ასრულებს რეისს.

## 6. მოქმედების ვადა და შეწყვეტა

- 6.1. კლუბში წევრობის ვადა იწყება თქვენ მიერ წევრობის შეძენისა და წევრობის მოსაკრებლის ჩვენ სასარგებლოდ გადახდის შემდეგ.
- 6.2. წევრობა ძალაშია 12 (თორმეტი) კალენდარული თვის განმავლობაში, რომელთა ათვლაც იწყება თქვენი წევრობის შეძენის დღეს.
- 6.3. წევრობის შეწყვეტის, გაუქმების ან მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ თქვენ ვერ ისარგებლებთ კლუბის შეღავათებით.
- 6.4. ჩვენ ნებისმიერ დროს შეგვიძლია შეგიწყვიტოთ წევრობა, თქვენთვის წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით.
- 6.5. გაითვალისწინეთ, რომ წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში წევრობის ყოველწლიური მოსაკრებელი დაბრუნებას არ ექვემდებარება (არც მთლიანად და არც ნაწილობრივ).

## 7. WIZZ Discount Club-ში წევრობა ერთობლივი საკრედიტო ბარათების მფლობელთათვის

- 7.1. ერთობლივი საკრედიტო ბარათების მფლობელებს WIZZ Discount Club-ში სტანდარტული წევრობით სარგებლობა შეუძლიათ წევრობის მოსაკრებლის გადახდის გარეშე.
- 7.2. WIZZ Discount Club-ში ერთობლივ ბარათიდან მომდინარე წევრობის ვადა შეადგენს 12 თვეს. WIZZ Discount Club-ში წევრობა აქტიურდება საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ საკუთარი WIZZ ანგარიშის ონლაინ გააქტიურების მომენტში.
- 7.3. WIZZ Discount Club-ში წევრობა ავტომატურად გახანგრძლივდება კიდევ ერთი წლით, თუ საკრედიტო ბარათი მოქმედია.
- 7.4. საკრედიტო ბარათების იმ მფლობელებს, რომლებიც უკვე არიან WIZZ Discount Club-ის მოქმედი წევრები, ქვეპუნქტში 7.1 განმარტებული სტანდარტული წევრობით სარგებლობა შეეძლებათ წინა წევრობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ.
- 7.5. საკრედიტო ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის ან საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული ხელშეკრულების ბანკისა თუ საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში Wizz Air იტოვებს უფლებას, შეწყვიტოს WIZZ Discount Club-ში წევრობა.
- 7.6. საკრედიტო ბარათების იმ მფლობელებზე, რომლებიც უკვე არიან WIZZ Discount Club-ის მოქმედი წევრები, ვრცელდება წინამდებარე წესებისა და პირობების ყველა დებულება მე-7 პუნქტის შესაბამისად.

8. თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება

- 8.1. კლუბში წევრობის შექენით თანახმა ხართ, რომ Wizz Air დაამუშავეს თქვენს პერსონალურ მონაცემებს კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების შესაბამისად.

9. მარეგულირებელი კანონმდებლობა

- 9.1. წინამდებარე წესები და პირობები ექვემდებარება უნგრეთის კანონმდებლობას და უნგრეთის სასამართლოების არაექსკლუზიურ იურისდიქციას.